· წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

პარასკევი 26 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილობით გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
[illegible]

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 37 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 37

მეუღლე კალინიკა და შვილები, თამარა, მამონტი, ნინა ანატოლი, აგელინა და ვენიამინ ტოგონიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი უძვირფასესი ქმრის და მეორე მამის მღვდლის 23 პოლკის

რაჟდენ ტოგონიძის

გარდაცვალებას. გარდაიცვალა 22 აპრილს მოსკოვის გენერალურ საავად მყოფოში. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 28 მაისს დილის 10 საათზე საკათედრო ტაძარში. (სობორო)

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 25 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდებული სურათი

უგონოების დალი

უძლურნი და ხალისს მოკლებულნი) ფსიქოლოგიური დრამა 5 ნაწ. კარენ ბრამსონის რომანის. ხუდოლეევისა და ფეხნერის მონაწ.

ანონსი: 29 მაისს 1917. კოლოსალური პროგრამმა

ჩირქ მოცხებული

დრამა 6 ნაწ. ნ. ა. ლისენკოსი ნ. ვ. ტანოვის. ნ. ას. რიმსკის მონაწ. ამ მოკლე ხანებში ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი დღიურ პროგრამზე 1 სერია გ. რასპუტინის სიკვდილი 2 სერია. შერცხვენა რომანოვთა დინასტიისა.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 25 მაისიდან **საუცხოვო სურათი!**

კოკაინის მყნოსველი ქალი

(სიკვდილის ფრთებს ქვეშ). დრამა 4 ნაწ. ლისენკოსი, გაიდაროვისა და ორლოვას მონაწ.

სიყვარულის სტრატეგია

სახუმარო.

ანონსი: 29 მაისს 1917 საგულისხმიერო პროგრამმა **კარიერა გაქცეული კატორღელისა** დრამა 5 ნაწ. **იდა ტალის** და ალპერტო კოლოს მონაწ.

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრისგანყოფილება!

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ **აბაშაში** და **ახალსენაკში** იყიდება ვაგონებით (არა ნაკლებ 1000 ფუთისა) ადგილობრივი **სიმიდი** ფუთი 2 მან. 87 კაპ. ვაგონებში დატვირთვით.

სიმიდი შეუძლიათ შეიძინონ მხოლოდ კოოპერატივებს და სასურსათო კომიტეტებს შემდეგნაირათ:

ფუთზე 2 მან. 87 კაპ. ანგარიშით უნდა შეიტანონ ხვედრი ფული ქუთაისის ხაზინაში ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე (на текущій счеть Кутаисскаго Губернскаго Продовольственнаго Комитета) № 79304 და კვიტანცია წარმოადგინონ კომიტეტში, რის შემდეგ კომიტეტი გასცემს სათანადო განკარგულებას ნაყიდი სიმიდის მყიდველისთვის გასაცემად

3-1 ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

## დღეს:

**წერილები:**

ინ-ხანი—შევისწავლოთ სამშობლო.
რეს—კონოვალოვის გადადგომის გამო.
გორგი—სასიამოვნო და სასიხარულო მოვლენა!...
ქართული პრესა.
რუსული პრესა.
მთავრობის აქტი ქართული ეკლესიის შესახებ.
ჯიხ—ომი.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. სტოკჰოლმის კონფერენცია. პლეხანოვი და ალექსინსკი მუშათა მიტინგებზე. მე-8 ყრილობა კადეტებისა. არქიელის გორის სამკითხველო. რუსეთი. ახალი ამბავი. ეროვნული კითხვა.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჯიბოკოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



პარასკევს 26 მაისს 1917 წ. გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა, უკანასკნელათაა ეს ახალი და არასოდეს ყოფილი სურათი, ახალი პროგრამმა.

**გასტროლები გამოჩენილ ბელგეთის დასისა**

5 კლიკეტი

3 გასტროლი. სიკვდილის ბეწვზე

უძარღვო კაცი კრისტი

უკანასკნელი გასტროლები ახალგაზდა ქალის ჟონგლერის **ჟენიასი**, და სხვა 6 დღეა საერთაშორისო ჩემპიონ ქალთა ფრანგული

ჭიდაობა.

დღეს იჭიდავებს 3 წყვილი გამოჩენილი მოჭიდავები 1 წყვილი. ლიტვის ჩემპიონი მანკო და დანიის ჩემპიონი პეტერსონი 2 წყვილი მცირე აზიის ჩემპიონი ანასტეშა და მთელი ევროპის ჩემპიონი აზელკროტი 3 წყვილი მთელი ქვეყნის ჩემპიონი რომანოვი და ციმბირის ჩემპიონი სიბირიაჩკა წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახევარ საათზე საღამოს. დასაწყისი ჭიდაობისა 10 საათზე.

მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადასჭრის შემდეგ საკითხს.

რიცხვის მცნება

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?
(Опредѣлимо или неопредѣлимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს. რედაქცია

## შევისწავლოთ სამშობლო.

ისეთი მხარე, რომელსაც თავი ოდნავ კულტუროსნად მოაქვს, ყოველ მხრივ შესწავლილი არის, თუ მთელი ხალხისაგან არა, მისი განათლებული ნაწილისაგან მაინც. ჩვენც ვჩემულობთ ვითომდა კულტუროსნობას, მაგრამ ჩვენი მხარის ერთი კუთხეც არა გვაქვს შესწავლული.

ვიცით და უცხოელებიც გვარწმუნებენ ამაში, რომ საქართველოს წიაღში უამრავი ბუნებრივი სიმდიდრე არის ჩამარხული, მაგრამ ამავე დროს ჩვენი ხალხი მშიერია, ყოველგვარ ავადმყოფობისაგან იხოცება, სიღარიბისა და უვიცობისაგან განსაცდელშია ჩავარდნილი და ამიტომ გადაშენების გზას ადგია. სიმდიდრეს ზევიდან ვაწევართ და სილატაკე კი წუთისსოფლიურ არსებობას გვიშხამავს.

ერთის შეხედვით, ვითომდა ყველანი გლეხისათვის ვზრუნავთ, ყველანი ხალხურ პროგრამს ვებრძვით, მაგრამ ამავე დროს არ ვიცით, ჩვენი ბრძოლის საშუალებანი მიზან შეწონილი და მოხერხებულია თუ არა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ვკურნავთ, ვკურნავთ და მაინც ვერ განგვიკურნავს. მიზეზი იქვე უნდა ვეძიოთ, ე. ი. ჩვენს სამშობლოს სრულს უცოდინარობაში. არ ვიცით გლეხის ფსიხოლოგია, არ ვიცნობთ მოქალაქეს, ქრისტიანს, მაჰმადიანს და ისრაელს.

ასეთივე დაუდევრობას ვხედავთ ჩვენი მხრის ეკონომიურ შესწავლაშიც. ვიძახით ბრწყინვალე წარსული გვაქვსო და განა შესწავლილი გვაქვს საქართველოს ისტორია, ძველებურ ნაშთებში რომ ჩამალულა? ეს ნაშთები ხომ უვიცობისაგან ისპობა!

განა, რამოდენიმე გამონაკლისით, ღონობს რასმეს ჩვენი ინტელიგენცია, რომ ეს ნაშთები შეინარჩუნოს, შეისწავლოს და გამონახოს ისინი, რომელნიც გვაკლია?

აიღეთ, რომელიც გნებავსთ, საქართველოს ისტორიული ქალაქი და ჰკითხეთ იქაურ მოქალაქეს, თუგინდ ინტელიგენტსაც, თუ იცის მან რა არის ამ ქალაქში, „ღირსშესანიშნავი“ და დარწმუნდებით, რა რიგ ღარიბია მისი გონება ასეთის ცოდნით. ან და ვსთქვათ, მოგვიცვათ ცნობის მოყვარეობამ და მოინდომეთ გაიგოთ, რით განსხვავდება ბუნებრივად ან ისტორიულად იმერეთი კახეთისაგან, რაჭა სვანეთისაგან, ქართლი გურიისაგან, თუშ-ფშავ-ხევსურეთი ქიზიყისაგან: რა გეოლოგიურ სისტემას ეკუთვნის ჩვენი ქუთაისი, მისი მიდამოები, რადარა ბუნებრივი საგანძურებია ჩამარხული ჩვენი სამშობლოს სიღრმეში და სხვა, თუ მოინდომეთ ამის გაგება, ყველა დაუფარავის განცვიფრებით შემოგყურებთ და გაიფიქრებს კიდეც: „ნეტა რად დასჭირვებია აბა ესო“? ესეც არ იყოს, აბა თუ იცის ვინმემ, ვსთქვათ ქუთაისის გეოგრაფიული სიგრძე, ან სიგანე, ტემპერატურის მინიმუმი, ან მაქსიმუმი. შეიძლება ბევრს არც კი უფიქრნია იმაზე, რომ ასეთ კითხვებს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ასეა ყოველ ჩვენს კუთხეში: ყველგან უცოდინარობა, ადგილობრივ სიმდიდრესა თუ გაჭირვებისადმი გულგრილობა.

ამ შეუგნებლობამ დაგვასუსტა, გაგვაუბედურა და ყოველგვარი თაოსნობის უნარიც აგვართვა. ჩვენ დღე-დღეზე უკან ვიხევთ, ვრჩებით კულტურულ ხალხის წინსვლას, ვღარიბდებით და ისეთ ეკონომიურ სიკოტრემდის მივდივართ, როდესაც ვერც სამშობლო ისარგებლებს გლეხით და ვერც გლეხი სამშობლოთი, როდესაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც შეიძენს რასმე და ვერც დაჰკარგავს რამეს.

რევოლუცია შენების დრო არის. რასაც ეხლა ერთ საათში გავაკეთებთ. იმას სხვიმის ათ წელიწადშიდაც ვერ მოვახერხებთ.

შრომა, ჯაფა, მუშაობა! აი რა გვიხსნის ეხლა! შესწავლა მშობელი მხარისა ყოველის მხრივ—ეკონომიურის, ისტორიულის, არქეოლოგიურის. ბუნების, ეთნოგრაფიულის, ანთროპოლოგიურის, კლიმატიურის სამკურნალოს და სხვადა სხვა. ქართული უნივერსიტეტის დაარსებაც იმიტომ არის გარდაუდებლივი და დაუყოვნებლივი მოთხოვნილება მომენტისა. რაც უფრო მალე შეიგნებს სამშობლო მხარის შესწავლის აუცილებლობას ჩვენი ხალხი, მით უფრო მალე განახორციელებს თვის მისწრაფებათ. ასეთი ქარტეხილის დროს განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა ვეკცევოდეთ ამ კითხვებს.

**ინ-ხანი**

## კონოვალოვის გადადგომის გამო.

კოალიციურ მთავრობაში საყურადღებო ცვლილება მოხდა. ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი კონოვალოვი სამინისტროდან გავიდა. პრემიერ ლვოვს მთელი მთავრობის სახელით მიუმართავს კონოვალოვისთვის და უთხოვნია. ასეთს საძნელო ჟამს არ მიეტოვებია სახ. გამგებლობის წევრობა, მაგრამ მუდარამ ამაოდ ჩაიარა. გადამდგარმა კონოვალოვმა აღნიშნა, რომ სავსებით გრძნობს მომენტის სერიოზობასა და სწორედ ამიტომ გადასწყვიტა მთავრობის დატოვება. მან სთქვა: „მე არ შემიძლიან კოალიციურ მთავრობაში ვიმუშავო, რადგან ამ ჟამად წარმოებული ტაქტიკა ჩემის შეგნებით არსებულ მძიმე კრიზისებისგან ვერ დაგვიხსნის.

კრიზისების თავიდან აშორება მაშინ გახდება შესაძლო, თუ აწინდელი მმართველობა სრულ ძალა უფლებიანობას გამოიჩენს და დარღვეულ დისციპლინას აღადგენს.

ამ სიტყვებიდან ნათლად სჩანს, რომ რუსეთის ბურჟუაზიის სანდო და გავლენიანი წარმომადგენელი არსებითად ვერ ურიგდებოდა რევოლუციის ამ დროულ მიდრეკილებას არ იზიარებდა დროებითი მთავრობის ტაქტიკას და ყველაზე უფრო იმ ზომებს, რომელიც რუსეთის სახალხო მეურნეობის და ვაჭრობა მრეწველობაში დაწყებულ „რღვევის“ (Разруха) შესაჩერებლად იქმნა მიღებული. ამას წინად გაზ. „დენი“ გამოსთქვამდა „გუჩკოვის წასვლით რევოლუციას შეძლებული კლასები შორდებაო“. მით უფრო საგრძნობია კონოვალოვის ჩამოცილება.

კონოვალოვი დიდათ პატივცემულია რუსეთის ზომიერ ბურჟუაზიის წრეებში და სახალხო თავისუფლების პარტიაში. მას შეეძლო ნივთიერად ძლიერი კლასები რევოლუციისთვის ემოქმედებინა.

რევოლუციას ყოველ დღე ახალ ახალი კრიზისები ევლინება. იბადება კითხვა ხომ არ იწყება კოალიციურ მთავრობის დაშლა? კადეტებმა ოსტატურად დაიწყეს სამინისტროდან გალაღვა.

მოსალოდნელია წასულ კონოვალოვსთან გაჰყვენ სხვა არა სოციალისტი მინისტრებიც. თუ ეს ასე მოხდა და მთავრობიდან გამოვიდენ ყველა ზომიერი ელემენტები, მაშინ აშკარაა დაიწყება „სოციალისტურ მთავრობის მოღვაწეობის ხანა“.

ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მარტის პირველ დღეებში წარმოშობილ ძალთა გათიშვა აუცილებელი და მოსალოდნელი იყო. მაშინ იყო მომენტი პირველ საერთო აღფრთოვანებისა, საერთო მიზნისკენ ვასწრაფვისა დღეს ინტერესთა დაცალკევების დროა. ზომიერ ბურჟუაზიის და პროლეტარიატის სულისკვეთება ალტყინება აწ ერთი და იგივე აღარ არის. თითოეულ მათგანს ამიერიდან საკუთარი ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები აქვთ. მათში კლასობრივი უთანხმოება და განხეთქილება უკვე იწყება. სულ სხვა კითხვაა, თუ როგორ გავლენას იქონიებს ეს მოვლენა საერთოდ რევოლუციის სასურველად დაგვირგვინებაზე. სოც. დემ. „ბოლშევიკები კარგა ხანია ბურჟუაზიას „რეაქციონერებად“ ნათლავენ და მათთან, თუნდა საერთო, ერთმანეთის არა საწინააღმდეგო მიზნისთვის, სიარულიც კი ყოვლად შეუძლებლად და სამარცხვინოდ მიაჩნიათ. ბურჟუაზიაც ახლავე ეთიშება დანარჩენ რევოლუციურ ძალებს. და საკუთარ იდეალების დასაცველად ემზადება.

**რეს.**

## სასიამოვნო და სასიხარულო მოვლენაა!..

„უსამართლო ძლიერებას
საუკუნო არ აქვს ძალი...
უძლეველი საბოლოოდ
არის მხოლოდ სამართალი“..
აკაკი.

ქართველი ხალხის თავმოყვარების შემლახველი იყო ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქართულ ენას, ამ ჩვენი ერის წმინდათაწმინდას, არ ქონდა ჩვენ ტერიტორიაზე არსებულ სასწავლებლებში შესაფერი ადგილი დათმობილი. ქართული ენა ცნობილი იყო ზედმეტ ბარგად ქართველ მოსწავლისათვის. ამ ენას აბუჩად იგდებდა მთელი საუკუნის განმავლობაში ყველა—სახალხო განათლების მინისტრიდან დაწყებული უკანასკნელ სასწავლებლის „სტოროჟამდის“.

ყველაფერი ისწავლე, ყველა საგანი შენი ყურადღების ღირსად გახადე, —ეუბნებოდა ძველი ბიუროკრატიული რეჟიმი ქართველ მოსწავლე ახალგაზდას, სამშობლო ენა კი გინდ ისწავლე, გინდ არა... გინდ შეიყვარე, გინდ ნუ...

საუკუნის განმავლობაში ქართული ენა სრულიად დაუმსახურებელ დევნას განიცდიდა და ამ არა ადამიანურ დევნას ჩვენი საუკეთესო საუნჯისას, ჩვენდა სა-

სირცხოდ, ისე შეჩვეოდა ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა, რომ მას ეს ნორმალურ მოვლენად მოენათლა და თავისი სიჩუმით მტერს გულს უხარებდა, ხოლო შეგნებულ ქართველს სულსა და გულს უწამლავდა.

არ ვფიქრობ, დედამიწის ზურგზე მოიძებნოს მეორე ხალხი, რომელიც ისე შერიგებოდეს, თავისი პიროვნების შეურაცყოფას, როგორც ჩვენი ხალხი.

ხალხი, რომელსაც თავისი წარსული არ დავიწყნია, რომელსაც აუწონ-გაუზომია თანამედროვე თავისი მდგომარეობა და რომელიც ფიქრობს თავის მომავალზე, ამგვარი ხალხი, ვიმეორებ, შეურაცყოფას ვერ ჩაიკლავს გულში და „შეჩერდითო" ვაჟკაცურად შესძახებს შეურაცხმყოფლებს.

ჩვენში კი ასე არ მოხდა... ალბად საუკუნის მონობამ ქართველი ხალხის თავმოყვარეობასაც კი თავისი დაღი დაასვა...

საუკუნეზე მეტია, რაც ქართული ენა, ქართული ლიტერატურა და ისტორია სრულიად ზედმეტ ბარგად გამოუცხადებიათ ქართველი მოსწავლე ახალგაზდობისათვის.

მართალია, „ბევრ რამეს" ასწავლიდენ ქართველ მოსწავლეს, მაგრამ ამ ბევრ რამეში არაფერს მშობლიურს არ ჰქონდა ადგილი. ამაზედ უკეთესი საშუალება, ამაზედ მეტი ბოროტი გზა ადამიანის გადასაგვარებლად შეუძლებელია გამოიგონოს კაცმა.

ადამიანს დაავიწყე სამშობლო ენა, აუხვიე თვალები, ნუ დაანახვებ მშობელი ერის თანამედროვე მდგომარეობას, ნუ შეასწავლი მშობელი ერის წარსულს, ნუ მისცემ ნებას მოემზადოს თავისი ერის მომავალზე საზრუნველად, და თქვენ ხელში იქნება გადაგვარებული ადამიანი.

ძველ ბიუროკრატიულ რეჟიმს სწორედ ამ გვარი გადაგვარებული, თავისი ყურმოჭრილი მონა, ადამიანები ეჭირვებოდა და აკი ამიტომაც სდევნიდა მთელი თავისი ძალ-ღონით ყოველივე მშობლიურს იმ სასწავლებლიდან, სადაც დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენდენ... ავი ამიტომ იყო ქართველი ახალგაზდობა საუკუნის განმავლობაში მოკლებული მშობლიურ ნიადაგზე აღზრდა განვითარებას.

ჩვენი ხალხის გულშემატკივარნი ვერ ურიგდებოდენ სამშობლო ენის არა ნორმალურ მდგომარეობას. ისინი, ხან კერძოდ და ხან საჯაროდ, ლაპარაკობდენ ამ სამწუხარო მოვლენაზე, მაგრამ ხმა მათი რჩებოდა ხმად და ასი წლის განმავლობაში ქართული ენა სისტემატიურად იდევნებოდა შინაურ და გარეშე მტრისაგან.

დღეს დრო გამოიცვალა... დაჰბერა განმათავისუფლებელმა სიომ. გამართლდა მგოსნის სიტყვები: „უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი... უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი." რუსეთის რევოლუციამ სასიკვდილო ჭრილობა მისცა ბიუროკრატიულ რეჟიმს, ეს რევოლუცია სამუდამო საფლავს გაუჭრის მას...

განახლებული რუსეთი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებს ამ რეჟიმის გამამტკიცებლების ყოველგვარ მოქმედებას.

განახლებული რუსეთი, ეჭვი არაა, თავისი ყურადღების ერთერთ საგნად გაიხდის ბიუროკრატიულ რეჟიმისაგან შეწუხებულ-შეურაცხყოფილ არა რუს ერებს. განახლებულმა რუსეთმა უნდა დააკმაყოფილოს ამ ერების ყოველგვარი მოთხოვნილებანი.

გვწამს და ვიმედოვნებთ, რომ შორს აღარ უნდა იყოს ის დრო, როცა ვნახავთ და მოვესწრებით იმას, რასაც ეტრფოდენ და ელოდენ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები.

ვფიქრობთ, სხვათა შორის, რომ საუკენის განმავლობაში დაუმსახურებლად დასჯილი ქართული ენა და ქართულის მასწავლებელი ამიერიდან მაინც დაიკავებენ იმ ადგილს, რა ადგილიც უნდა ქონოდათ მათ დღემდისაც.

თუ აქამდის ქართველი მშობელი და ქართველი მოწაფე თავისი გულგრილობით სამშობლო ენის შესწავლის საქმეში, ზოგი შეგნებულად და ზოგიც შეუგნებლად, ხელს უწყობდენ გარეშე მტრებს, ამიერიდან მაინც ერთგულად, სიტყვით და საქმით, ხელს შეუწყობენ ყოველისავე მშობლიურის გაბატონებას ჩვენ სასწავლებლებში.

თუ აქამდის ჩვენი ხალხის გადაგვარებული შვილები უფილ დირექტორებთან თხოვნით მიბრძანდებოდენ და თავიანთ შვილებს ათავისუფლებდენ ქართული ენის გაკვეთილებზე სიარულისაგან და ამ გვარად თავისი უგნური მოქმედებით ამახინჯებდენ მომავალ მოქალაქეებს, — ამიერიდან მაინც ჩაუფიქრდებიან თავის შეცდომას, გასწორდებიან და დაიზეპირებენ მგოსნის სიტყვებს: „გადაგვარების მოსურნე ბუნებისგან კრულია, მისი პირადი ღირსება ყოვლისგან დაჩაგრულია."

საუკუნის განმავლობაში. უსამართლოდ დევნილი ქართული ენა, დღეს ქართველი მოსწავლისათვის სავალდებულო საგანია..

საუკუნის განმავლობაში საცინლად აგდებული ქართული ენის მასწავლებელი, დღეიდგან ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რითაც სარგებლობდენ და ისარგებლებენ სავალდებულო საგნის მასწავლებლები...

დღეიდან ქართველი მოწაფე, ჩვენდა სასიხარულოდ, ვალდებული ხდება ქართულ ენაშიც მოემზადოს და ენერგიულად შეუდგეს ამ, მისთვის დიდად საჭირო, საგნის შესწავლას...

დღეიდან ქართველი მშობელი, ჩვენდა სასიხარულოდ, ვალდებულია ქართული ენაშიაც იმ გვარადვე თავგამოდებით ამეცადინოს თავისი შვილი, როგორც აქამდის სხვა სავალდებულო საგნებში.

სისიამოვნო და სასიხარულო მოვლენაა!..

სიხარული და სიამოვნება გაორკეცდება მაშინ, როცა ჩვენი ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლის საქმე სასურველად მოგვარდება. ამისათვის კი ბევრი რამე გვაკლია.

არა გვაქვს რიგიანი სახელმძღვანელოები; არა გვყავს საკმაო რიცხვი რიგიანად მომზადებული ქართული ენის მასწავლებლებისა. მასწავლებლები კი უსაჭიროესია, რადგან რიცხვი ქართული ენის გაკვეთილებისა უთუოდ უნდა გადიდდეს ყველა კლასებში სამოსწავლო წლის დასაწყისიდგანვე; არ გვაქვს ქართულ ენაში პროგრამები, რაც უსაჭიროესია მასწავლებლისათვის, არ გვაქვს ძველი და ახალი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები დაბეჭდილ-გამოცემული.

საჭიროა ენერგიული, გაორკეცებული, საერთო ძალით მუშაობა ყველა იმ პირებისა, რომლებსაც ცოდნა ხელს უწყობს და რომლებიც ვერ ურიგდებოდენ სამშობლო ენის არა ნორმალურ მდგომარეობას ჩვენს სასწავლებლებში.

ვინც მოსწავლე ახალგაზდების, ამ მომავალი მოქალაქეების, გადაგვარებას ხალხის უბედურებად სთვლის; ვინც ქართველი ახალგაზდების მშობლიურ ნიადაგზე აღზრდა-განვითარებას თანაუგრძნობს, — ის სიხარულით შეხვდება ქართული ენის უფლების აღდგენას და ამ ენის სწავლების სასურველ კალაპოტში ჩაყენებას ამ ახლო მომავალში შეძლებისადაგვარ ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებას გაუწევს.

**გორგი.**

## ქართული პრესა.

რევოლუციის ერთი თვისებათგანი ისიც არის რომ პოლიტიკურ ტალღების ზვირთებში გაცურავებს და ზოგიერთ ყოფნა-არყოფნის კითხვებზე ძალაუნებურად გვერდს გახვევიებს. ასე მოგვდის ჩვენ შავი ქვის საქმეებში. დაგვავიწყდა სავსებით იგი და აღარ გვახსოვს, რომ სომხის სპეკულიანტები მადისგაან დოქებს ჰყრიან პირიდგან და თავიანთ ბასრ კლანჭებში ჩაგდებას უპირებენ საქართველოს სამრეწველო ცენტრს ჭიათურას. ამ კითხვას გაზეთ „საქართველოს" გუშინდელი ნომერს მეთაურს უძღვნის და სწერს, რომ

> ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ამ მამულებს სახაზინოთ გამოაცხადებს, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმისთვის. ნამდვილად კი ის დაარსებს აქციონერულ საზოგადოებას (თუ ის უკვე ეხლაც დაარსებულია ბანკების სახით?), თვით დაიტოვებს აქციების 10—15⁰/₀ და დანარჩენს კი ბანკებსა და კერძო პირებს მისცემს, ასე გადაუწყვეტია ჭიათურის მამულების საქმე ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს. თუ ეს განხორციელდა, ბანკებისა და სომეხ კაპიტალისტების ცდა-მეცადინობა სავსებით მიზან მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. მათ იქნება ამ ახალი აქციონერული საზოგადოების ქაღალდების 80—90 პროც. და ჭიათურის წარმოებათა სრული ხართვა-გამგეობა.
>
> არა მხოლოდ თავმოყვარეობა ჩვენი საზოგადოებისა. არამედ მისი არსებითი ინტერესები მოითხოვს ამ საქმისთვის ახალს ცდას და შრომას. ჭიათურის წარმოებას ჩვენი ქვეყნისთვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ამის აბუჩად აგდება არ ეპატიება საზოგადოებას, რაც უნდა დიდი პოლიტიკური საკითხები ჰქონდეს მას გადასაჭრელი. ეხლა რევოლუციის დროში ვცხოვრობთ და თავისუფლების დიდ საკითხებს ვწყვეტთ, მაგრამ პური უპირველესი საფუძველია ხალხის თავისუფლებისა და ჩვენ დიდ შეცდომას ჩავიდენთ თუ ერთი წუთითაც დავივიწყებთ ჩვენი ქვეყნის ასეთს ეკონომიურს საჭიროებებს.
>
> ჭიათურის მამულების საქმეს პეტროგრადიდან აცნობებენ ჭიათურის მრეწველთა საბჭოს და ურჩევენ მას შუამდგომლობის განახლებას, ეხლა უკვე მთავრობის წინაშე და არა ვაჭრობის სამინისტროში. თუ ჩვენ საზოგადოებას თავისი ინტერესების შეგნება და გათვალისწინების უნარი არ დაჰკარგვია, ის ამ საკითხს არ მიჩქმალავს. სპეკულიანტებმა თავისი გაიტანეს, სანამ ეს საქმე საიდუმლოდ სწყდებოდა კაბინეტებში. დღეს ეს საკითხი ფართო საზოგადოების მზრუნველობის საგნად უნდა გახდეს, ვინაიდან მას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. თუ ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ცხოვრების მეთაურნი მას ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევენ, ვერავითარი სამინისტრო ვერ მოგვახვევს თავს გახსნილ სპეკულიანტების სურვილებს. ამ საქმის მივიწყება არ გვეპატიება.

* * *

იმავე გაზეთში გერონტი ქიქოძის წერილი არის მოთავსებული, სადაც ის საერთაშორისო მდგომარეობას ეხება და სწერს:

„დღეს, როცა მთლიანი ეროვნული ნების ყოფა მთლიან ეროვნულ ნებისყოფას ეხეთქება, მინისტრების გამოცვლას აგრე რიგად დიდი მნიშვნელობა როდი აქვს საგარეო პოლიტიკაში: მსოფლიო ომი შეწყდება არა დიპლომატიური სჯარითების ან რომანტიული სურვილებისა, არამედ ნათლად გარკვეული რეალური ძალების მიხედვით.

ძალთა განწყობილება კი ბოლო დროს აშკარად შეიცვალა გერმანიის სასარგებლოდ. რუსის ჯარმა შეტევა შეაჩერა ნებით თუ უნებლიეთ და გერმანიამ თითქმის მთელი თავისი ლაშქარი საფრანგეთის ასპარეზზე გადასხა.

შემდეგ აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ თუმც ბეტმან — ჰოლვეგმა აშკარად წინააღუდგა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს, მაგრამ გერმანეთის

„სოციალ-დემოკრატიის უდიდესი ნაწილი, რომელიც შეიდემანის მეთაურობით, ეგრეთ წოდებულ სოციალ-პატრიოტულ პოლიტიკას აწარმოებს. როგორც სჩანს ეთანხმება იმპერიის კანცლერს.''

თუ უწინ მოკავშირენი სრულს განადგურებას და დაშლას უპირებდნენ გერმანეთს, ავსტრო-ჰუნგრეთს, ბულგარეთს და ოსმალეთს.

,,დღეს ინგლისის ხელმძღვანელი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის საკითხი უწინარეს ყოვლისა რუსეთის ინტერესებთან არის დაკავშირებული და მოკავშირეები მის გადაწყვეტას ადვილად დასთმობენ, თუ კი თვით რუსეთი უარს ამბობს სომხეთისა, გალიციის, კონსტანტინოპოლისა და სრუტეების შეძენაზე''.

პატივცემული ავტორი სამართლიანად დაასკვნის წერილს, რომ

,,რუსეთის რევოლუციამ კოსმოპოლიტური აღფრთოვანება გამოიწვია რუსის დემოკრატიაში. ეს ბუნებრივია. რევოლუციური იდეოლოგია ყოველთვის მთელი სამყაროს განახლებისა და გადახალისებისათვის ოცნებობს. მაგრამ დღევანდელს ევროპაში ეს კეთილშობილი ოცნება ოცნებად რჩება, სინამდვილეში კი შეიარაღებული ერები პირისპირ სდგანან და თავიანთ განსაკუთრებულ მიზნების განხორციელებას სცდილობენ. ეროვნული ინტერესების წინააღმდეგობა ჯერჯერობით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საერთაშორისო დემოკრატიის სოლიდარობა''.

## რუსული პრესა.

პროფ. მ. კორჩინსკი რუსეთის თანამედროვე ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ სწერს (იხ. გაზ. „დენი" 14 მაისისა):

„ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა თან და თან რთულ და უმწეო-უნუგეშო სახეს ღებულობს. „რღვევა" რომელიც ამ ჟამად გრძელდება რუსეთის ცხოვრებაში, ძირიან — ფესვიანად აფორიაქებს ფინანსიერ მხარეს და დაღუპვით ემუქრება სახალხო მეურნეობას. დროებითი მთავრობა უკვე ჩაუგვირდა ფინანსიურ საფრთხეს და განსაცდელის თავიდან ასაშორებლად მიმართა დემოკრატიულ გადასახადების სისტემას. ეს ზომა სრულიად მიზან შეწონილად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მწარე სინამდვილეში სრულ დასტურწმუნებლად ომისა და შინაურ ბიუჯეტის ოდენობაც უნდა გავითვალისწინოთ. დღემდის ომისთვის დღიურად იხარჯებოდა 45 მილიონი მანეთი. ის ჯამი ახლა გადიდდა და 55 მილიონს უდრის. ამ რიგად ომს თვიურად სჭირია 1700 მილიონი მანეთი წლიურად სამინისტროს გამოანგარიშებით ომს დასჭირდება 20 მილიარდი მანეთი. სახელმწიფო იძულებულია ყველა ეს ფული მიიღოს ქაღალდის ბილეთების გამოშვებით (დაზგების მუშაობით). დიდი იმედებს ვერ დავამყარებთ გადასახადებზე, რადგან მათ უკვე აქვთ თავისი პირდაპირი დანიშნულება. გარდა ომის ხარჯისა სახელმწიფოს აქვს შინაური ბიუჯეტი, რომელიც წლიურად უდრის 5,077,817 მან. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ წელს სახელმწიფოს დასჭირდება ადებულ ვალების სარგებლის გასასტუმრებლად 700 მილიონ მანეთამდე.

ამ ჟამად ხელს აწერენ „თავისუფლების სესხს", რომელსაც დიდი შედეგი ჯერ არ მიუცია. ასეთი სესხის გამოცემა, თუ ომი გაგრძელდა მთავრობას კიდევ დასჭირდება და მაშინ. თქმა არ უნდა, ვალების სარგებელი (პროცენტი) კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენ ყოველ გვარ იმედს ფინანსიურ სიძნელის დასაძლევად სხვადასხვა ოპერაციებზე ვამყარებთ. „თავისუფლების სესხმა" კოალიციურ მთავრობას ამ დროულად საჭირო საღსარი უნდა მისცეს. ეს ასე უნდა ხდებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, „თავისუფლების სესხმა" ჯერ ჯერობით ნუგეში ვერ გვცა. ამ მხრივ შურით უნდა შევცქეროდეთ უცხო სახელმწიფოთა სესხებს, სადაც სესხის საქმე ყოველთვის ჩინებულად მიდიოდა."

## ,,მთავრობის აქტი ქართული ეკლესიის შესახებ."

ამ სათაურით გაზეთ ,,პეტროგრადის უწყებაში'' მოთავსებულია ივერიის ეკლესიის ერთგულ მოჭირნახულის მცხოვან ნ. დურნოვოს წერილი. მოგვყავს ამ წერილიდან საყურადღებო და დამახასიათებელი ადგილები:

მთავრობის აქტი არა თუ აწესრიგებს ,,ქართულ ეკლესიის საქმეთ, არამედ იგი ართულებს წამებულ ეკლესიის მდგომარეობას.

დროებითი მთავრობის აქტით საქართველოში რჩება რუსის ექსარხოსი 3 მღვდელმთავრით, რომელნიც ქართულ საზოგადოებაში და ეკლესიის საქმეებში უთანხმოებას ქმნიან და შუღლს სთესავენ, რასაც ბრძენულად ,,სქიზმა'' ეწოდება. დამფუძნებელ კრებას უფლება არ აქვს ჩაერიოს საქართველოს ეკლესიის საქმეებში.

სასულიერო კანონების მიხედვით მართლ მადიდებელ [illegible] უნდა, ჰყავდეთ ერთ [illegible] და არა [illegible] — როგორც ამას რუსის მთავრობა აპირებს რუსის სამღვდელოების უმრავლესობა ნაკლებ მორწმუნეა და [illegible] პოლიტიკანობას ესწრაფვის.

ქართულ ეკლესიას 200 წელზე მეტია აქვს მსოფლიო ეკლესიისაგან ბოძებული უფლებები, რომლისთვისაც იგი არა ერთხელ და ორჯერ წამებულა და რომელიც უდიერად შელახა რუსის ძველმა მთავრობამ. საკვირველი ის არის, რომ რუსის სამღვდელოება დღესაც არ ჰგმობს უსამართლობას და ქართულ ეკლესიას კრიჭაში უდგება. საქართველოდან ცნობა მივიღეთ რუსის ექსარხოსი რჩება თბილისს და ქართველ კათალიკოსს სამყოფელ ადგილს მცხეთაში აძლევენ, რომ იგი, რუსის მღვდელ-მთავარმა პირველობა დაანახოს ქვეყანას.

ძველ დროიდან ქართველი კათალიკოსები მცხეთაში იმყოფებოდენ და დღესაც თუ იქ იბინადრებენ ამის საწინააღმდეგო არავის ექნება რა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ქართველ სამღვდელოების სურვილით და არა იძულებით. დროებითი მთავრობის აქტი ივერიის ეკლესიის შესახებ ნათლად ამტკიცებს თუ რა ცოტა გაეგებათ სარწმუნოების დარგში საერო მმართველებს, რომელნიც ქართულ ეკლესიას თავისუფლების მინიჭების მაგივრად ისევ მონურ შებორკვას უპირებენ... ძალადობასა და უსამართლობას თავისუფლებასთან არაფერი საერთო არა აქვს.

ამ ჟამად მამა ვოსტორგოვის წყალობით რუსის მთავრობამ თბილისი ცალკე გამოჰყო და თავის ექსარხოსს, აქ მიუჩინა რეზიდენცია, რომ ამით, დაემცირებია გაუქმებულ მცხეთის პატრიარქის მნიშვნელობა დი გავლენა.

ქართულ ეკლესიას ადარებენ სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას ე. ი. უწოდებენ მას უსაზღვროს. ამ გარემოებაზე მიუთითებთ და მოვაქცევთ მღვდელ-მთავართა, კლასისა და ხალხის ყურადღებას, რათა მათ მედგრად დაიცვან თავის ეკლესიის უფლებები. თბილისში უნდა იყოს ქართველი მღვდელ-მთავარი, ამავე დროს თბილისში რუსის და სომხის სამღვდელოების ყოფნა არაფერ ვალდებულებას არ შეადგენს ქართველი სამღვდელოებისათვის.

ქართველი ხალხი ვალდებულია შეუდრეკლად დაიცვას თავისი ერის და ეკლესიის ინტერესები.

ამ ჯვაროსნულ ერს უნდა ახსოვდეს, რომ პეტროგრადში ბევრი მტერი ჰყავს, რომელიც მზად არის თბილისიც გადასცეს მომავალ სომხეთის ავტონომიას.

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

### დეპეშები

სამხედრო საზღვაო მუშათა დელეგატების ყრილობა.

**ჰელსინგფორსი.** 22 მაისი. სამხედრო საზღვაო მუშათა ორგანიზაციების დელეგატების საოლქო ყრილობაზე შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს: განაცხადონ პროტესტი ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ აღიარონ სოლიდარული მოქმედების აუცილებლობა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან ერთად, ხელი შეუწყონ ზავის ჩამოგდების მოახლოებას, მოვალეობათ ჩასთვალონ ყველა რევოლუციურმა ორგანიზაციამ დროებითი მთავრობის დახმარება და ყველა ბრძანება დროებითი მთავრობისა უნდა სინდისიერად სრულდებოდეს ჯარის ყველა ნაწილების მიერ.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დელეგატთა ყრილობა.

**პოდოლსკი.** 21 მაისი. დამთავრდა ყრილობა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის დელეგატებისა. გამოიტანეს რეზოლუცია აგრარული კითხვის შესახებ. განაცხადეს პროტესტი ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა გენერალმა ბრუსილოვმა და მადლობა გამოუცხადა ყრილობას მუშაობისათვის.

სასურსათო კომიტეტის ყრილობა.

**ვიატკა.** 20 მაისი. სასურსათო კომიტეტის ყრილობაზე დაადგინეს გამორკვეულ იქნას მაზრებში პურის რაოდენობა და შემოღებულ იქნას მონოპოლია. პურის რაოდენობა გუბერნიაში აღწევს 18 მილიონ ფუთამდე.

თავისუფლების სესხი.

**დონის-როსტოვი.** 21 მაისი. შინგარიოვის ჩამოსვლის დღიდან თავისუფლების სესხზე 13 მილიონ მანათამდე მოაწერეს ხელი. მცხოვრებლები დიდის ენტუზიაზმით ეგებებოდენ შინგარიოვის მოწოდებას. სწირავდენ ოქროს, ვერცხლსა და ძვირფას ნივთებს. ქუჩებში მანიფესტაციების გამართვამ ფულის მოგროვების მიზნით სასურველი ნაყოფი გამოიღო.

ძარცვა-გლეჯა.

**გომელი.** 21 მაისი. შეძლებულს გლეხებზე მძარცველების თავდასხმამ ფართო ხასიათი მიიღო. მძარცველები ხშირად მკვლელობებსაც ახდენენ; იგინი გამოწყობილნი არიან სამხედრო ფორმაში და აქვსთ ყალბი მოწმობები.

სიწყნარე.

ნიჟნი ნოვგოროდი. 22 მაისი. არდატოვის კომისარი იტყობინება, რომ მაზრაში ამ ბოლოდმის სიწყნარეა გარდა სოფელ სასნოვკისას, სადაც გრძელდება გლეხების მიერ პოლიკარპოვის ტყის განადგურება.

უწესოებანი.

პოდოლსკი. 22 მაისი. გლეხები განაგრძობენ უწესოების ჩადენას. სოფლე

ჩოხონიში მამულში აღარ შეუშვეს მემამულე ბელოუსოვი. სოფ. პრივოროტსა და რეშინეცში სჭრიან ტყესა და იტაცებენ ხეტყის მასალას. სოფელ ზალუჩშიდან განდევნეს მოიჯარადრე შენბერი.

ახალი გაზეთი.

მოგილევი. 22 მაისი. გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „გლეხის სიტყვ“-ისა. გლეხების საბჭო ურჩევს გლეხებს არ იკითხონ სატახტო გაზეთები, როგორც ბურჟუაზიული გამოცემები.

ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი.

**პეტროგრადი.** 19 მაისი. 120 ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მოთხოვნილების დიდი ნაწილი დაკმაყოფილებულ იქნა ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეების მიერ. არ სთანხმდებიან მხოლოდ ექვსი საათის სამუშაო დღის შემოღებაზე. საქმეს გაარჩევს მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობა.

მუშაობის შეწყვეტა.

**პეტროგრადი.** 19 მაისი. შესწყვიტეს მუშაობა პეტროგრადის საგუბერნიო მუშებმა, რადგან საზოგადო საქმის დეპარტამენტმა არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნილება დღიური დამატებითი პროცენტების შესახებ.

გაფიცვების შეწყვეტა.

**პეტროგრადი.** 19 მაისი. საგალანტერიო და სამანუფაქტურო მაღაზიების მოსამსახურე ნოქართა გაფიცვები წყნარად მიმდინარეობს. ზოგიერთ მაღაზიების ნოქარ-მეპატრონეები შეთანხმდენ და გაფიცვები შესწყვიტეს.

ვერცხლეულობის დაკარგვა.

**პეტროგრადი.** 19 მაისი. კამესინსკის ქალმა განაცხადა, რომ მას მოპარეს 150.000 მანათად ღირებული ვერცხლეული. მილიციამ აღმოაჩინა მძარცველთა ბინა დააპატიმრა რამდენიმე მონაწილე მძარცველი.

ძ ა რ ც ვ ა.

**პეტროგრადი.** 19 მაისი. გაძარცვეს მსახიობი თ-დი კულერი, რომელიც მოსარჩენად იმყოფებოდა საავადმყოფოში.

ანარქისტები.

**პეტროგრადი.** 19 მაისი. შეიარაღებული ჯგუფი ანარქისტებისა გუშინ ღამით შეიკრიბა ნიკოლაევის სადგურზე. უნდოდათ მიტინგის გამართვა. ჯარმა ანარქისტები გაფანტა.

## უ ც ხ ო ე თ ი.

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

პარლამენტის სესიის დახურვა.

**ლონდონი.** მაისის 21. პარლამენტის სესიის დახურვის შემდეგ შეიკრიბება ირლანდიის კონვენტი 110 კაცის მონაწილეობით.

არეულობა ამერიკაში.

**ვაშინგტონი.** მაისის 21. ვაშინგტონში მომხდარ არეულობის გამო მთავრობა ყოველს ღონის ძიებას ხმარობს მის ჩასაქრობად. ატუსაღებენ იმათ, ვინც აგიტაციას წევს ჯარში გაწვევის წინააღმდეგ.

მადისფოკერევში მოხდა პაციფისტების მიტინგი პოლიციელების მეთვალყურეობით.

ავტომობილები პროჟექტორებით სდარაჯობდენ ქუჩებს. თოფებით შეიარაღებული პოლიციელები წესიერებას იცავდენ. ცოტახნის შემდეგ იმავე ადგილს გაიმართა მიტინგი ომის მომხრეებისა.

დასასრულ ომის მომხრეების მიტინგზე გამოიტანეს რეზოლუცია პაციფისტების წინააღმდეგ.

იაპონიის განცხადება.

**პეკინი.** მაისის 21. ჩინეთში მომხდარ ამბების გამო იაპონიამ აცნობა ჩინეთის მთავრობას, რომ იგი ჩინეთის შინაურს საქმეში არ ჩაერევა.

## მსოფლიო ომი

პ დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**პარიზი.** მაისის 21. ოფიციალი. კალიფორნიის მთიანს ადგილებში გერმანელებს ჩვენზე იერიშები მოჰქონდათ. იერიშებს ვიგერიებდით. ყოველგვარმა ცდამ მტერს კალიფორნიის მთიან ადგილების დასავლეთ ცენტრალ ნაწილებში შევავიწროებიეთ, უნაყოფოთ ჩაუარათ.

კალიფორნიის მთიან ადგილების ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრთაზე მტერმა გათენებისას იერიში მოიტანა და დაიკავა ჩვენი ერთი თხრილი. მტერი თხრილებიდან გამოვრეკეთ და უკან დავახევინეთ. ბრძოლის დროს მტერმა დიდი ზარალი ნახა. წამოვიყვანეთ ტყვეები. ასპარეზის დანარჩენს ადგილებში საარტილერიო მოქმედებაა.

**ჰავრი.** მაისის 21. ოფიციალი. მტრის არტილერია ძლიერად უშენდა ჩვენს პოზიციებს დიქსმიუდის მახლობლად.

დღის განმავლობაში ჩვენი არტილერია ენერგიულად უშენდა გერმანელების ბატარეებს.

მფრინავთა მოქმედება.

**ჰავრი.** მაისის 21. ოფიციალი. დიქსმიუდეს მიდამოებში ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს რკინის გზის სადგურთან. ზარალი არაფერი ყოფილა.

---

**შაბათს 27 მაისს საღამოს სრულ 5 საათზე ქ. ქუთაისში დანიშნულია ეროვნულ დემოკრატ სტუდენტთა (განურჩევლად სქესისა) საზოგადო კრება (მისამართი: ვარანცოვის ქუჩა, ეროვნულ დემოკრატთა სალექციო დარბაზი. ოცხელის შენობაში „რეიმს“-ის გვერდით) განსახილველია საყურადღებო კითხვები. პრეზიდიუმი სთხოვს ამხანაგებს უსათუოდ დაესწრონ ამ კრებას, რადგან დამსწრეთა რიცხვის და მიუხედავად, კრებაზე მიღებულია რევოლუციები ყველა ამხანაგისათვის სავალდებულო იქნება.**

**ეროვნ. დემოკრ. სტუდ. წრის პრეზიდიუმი.**

---

## ახალი ამბავი.

✦ **საბავშვო დილა** კვირას 28 მაისს ქალაქის თეატრში გაიმართება საბავშვო დილა.

✦ **სვანეთის შესახებ.** ბ-ნმა ტრიფონ ჯაფარიძემ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სვანეთის მილიციის და იქაურ აღმასრულებელ კომიტეტების თხოვნის განხილვა, ქუთ. აღმ. კომიტეტს აცნობა: ზემო სვანეთისთვის არჩეულია სახალხო თავდაცვისთვის მილიცია, რომელშიც შედის 25 კაცი; მილიციელს თვიურად ჯამაგირად უნდა მიეცეს 80 მანეთი; მილიციელებისთვის საჭირო იარაღი წინასწარ უნდა გადაეცეს ცაგერის კომისარს. ტრ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ სვანეთის 11 საზოგადოების აღმას. კომიტეტმა ითხოვა ბეჭდების გაკეთება, რომლებიც უკვე მზად არის. სვანების წარმომადგენელს ამბროსი პირველს უნდა მიეცეს 200 მანეთი რომელიც სოფლელებმა დახარჯეს არჩევნების მოხდენის დროს. აღმასრულებელმა კომიტეტმა მოხსენება მიიღო.

✦ „ცისფერი ყანწები“. ამ მოკლე ხანში გამოვა „ცისფერ ყანწების“ სარევოლუციო ნომერი. თანამშრომელთა ძველ შემადგენლობის გარდა ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ცნობილი და დამსახურებული ქართველი მწერლებიც.

✦ **ილიკო ქურხული.** მოხეტიალე მესკრიპკე ილიკო ქურხულმა მოიარა და კონცერტები გამართა: ფოთში და დასავლეთს საქართველოს ზოგ ადგილებში. იგი ამჟამად თბილისში იმყოფება. ქურხული ხელახლა აპირებს დასავლეთ საქართველოში მოგზაურობას და კონცერტების გამართვას იმ ადგილებში, სადაც არ გაუმართავს.

✦ ამიერ-კავკასიის სოც. დემ. კონფერენცია გაიხსნება 10 ივნისს თბილისში.

✦ საქ. ეროვნ. დემ. პარტიის სალექციო დარბაზი. 22 მაისს ვარანცოვის ქუჩაზე ოცხელის შენობაში გაიხსნა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სალექციო დარბაზი. დარბაზი ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ლექციების კითხვის დრო და განაწილება ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ ქალაქის არჩევნები ბ-ნი ილია ჩიქოვანი აცნობებს აღმ. კომიტეტს, რომ ქუთაისის მაზრაში ახალი საქალაქო საარჩევნო მზადება უკვე დაიწყო, თუმცა ჯერ ყველგან არ მიუღიათ საარჩევნო ინსტრუქციები.

✦ გ. ცხაკაია. აღმ. კომიტეტს სთხოვდა, რათა იგი წარედგინათ ამიერ კავკასიის მთავირ აღმ. კომიტეტმსთვის ქუთ. საგლეხო დაწესებულების წევრის ადგილზე დასამტკიცებლად სადაც 8 თვე მსახურებს ქუთ. აღმ. კომიტეტმა თხოვნა არ შეიწყნარა და განაცხადა, ყოველგვარი დანიშნა ამა თუ იმ დაწესებულებაში უპირველეს ყოვლისა უნდა ეცნობოს აღმ. კომიტეტს და ქუთაისში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათ, რომელთაც წინასწარ უნ და განიხილონ ეს კითხვაო.

✦ აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა კითხვა დეზერტირების გამოცხადების



**დამფუძნებელი ყრილობა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა, მაისის 28 რომ იყო დანიშნული, - პროვინციალური ორგანიზაციების თხოვნის თანახმად ერთი კვირით გადაიდო, ივნისის 4-სათვის.**

საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისის 4. თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

**ყრილობის წეს-რიგი.**

1. **საპროგრამო საკითხები:**

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

2. **სატაქტიკო საკითხები.**

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ც. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

3. **საორგანიზაციო საკითხები:**

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებაზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

ვინაიდან საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარ კომიტეტს შეკითხვები მოსდის სხვადასხვა საპროფესიო და საკულტურო დაწესებულებათა თანამოაზრე წევრთაგან, შეიძლება თუ არა მათ საკუთარი წარმომადგენლები იყოლიონ პარტიის ყრილობაზედ, მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ პარტიის ყრილობაში მონაწილეობა მხოლოდ საერთოდ გამოცხადებული წესით შეიძლება, ესე იგი პარტიის ორგანიზაციებში მონაწილეობით.

---

ვადის 15 ივნისამდე გაგრძელებისა და უარყოფითად გადასჭრა.

✦ აღმ კომიტეტის წევრები აცხადებენ, რომ ქალაქი მეტად საშიშ მდგომარეობაში იმყოფება. საზოგადო უზრუნველყოფის საქმე ძლიერ ცუდათ არის დაყენებული.

✦ **ტყეების გაკაფვა** გაზ. „კავკაზი“-ს ცნობით ალ. გიორგისძე ერისთავს სამხედრო სამრეწველო კომიტეტისთვის წინადადება მიუცია, რათა ბაღდადის (ქუთ. მაზრა) რაიონის სახაზინო და საერისთავო ტყეები გამოყენებულ იქმნას სამხედრო სამრეწველო კომიტეტის საჭიროებისათვის კომიტეტმა, ეს წინადადება მიიღო და დაადგინა ტყიან ადგილებში გაიყვანოს ვიწრო რკინის გზის ლიანდაგი დამუშავებულ ხეტყის გამოსაზიდავათ. ამ დღეებში ბაღდათის რაიონში გაემგზავრება საგანგებოდ კომისია, რომელიც დაათვალიერებს წაბლარას ხევის და ერისთავთა ტყეებს.

✦ აღმასრულებელმა კომიტეტმა ცნობა მიიღო, რომ ზოგიერთი აგენტები აგროვებენ დეზერტირებს და ისეთ პირთ, რომელთაც სამხედრო ბეგარა ეხებათ და სხვადასხვა ადგილას სამუშაოდ მიჰყავთ. აღმ. კომიტ. დაადგინა ასეთი აგენტები შეიპყროს.

✦ კომისარი სტარცევი სთხოვს აღმ. კომიტეტს, რომ მას დაენიშნოს ამხანაგი, რომელიც დაეხმარება რიონის სადგურზე წესრიგის დაცვაში.

კომისიამ ამას ყურადღება მიაქციოს, და შემდეგში, თუ კიდევ გამართავს—ხალხი ასეთი უკმაყოფილო არ დასტოვოს.

საჭიროა აგრეთვე ადგილობრივმა კომიტეტმა ყურადღება მიაქციოს შემდეგს; ამ ბოლო დროს თითქმის ყველა სოფლებში, ვისაც კი ორი სიტყვის გადაბმა შეუძლია მიჰყვეს ხელი წარმოდგენების მართვას და აწვდიან საზოგადოებას ყოვლათ უზნეო, უშინაარსო პიესებს; იმ საზოგადოებას, იმ სოფლის ხალხს, რომელიც პირველათ ხედავს სცენას, რომელსაც არ უნახავს თეატრის კარები.

ადგილობრივი კომიტეტი კი სუყველა ამას უყურადღებოთ სტოვებს, ურიგებს ნებართვას ყველას, ვისაც კი მოეპრიანება სცენაზე ხტუნაობა.

✦ **დეზერტირების შესახებ.** ალ. ჯაფარიძემ კითხვა აღძრა, რადგან ქუთაისში ბევრ დეზერტირების თავის შეყრა უწესობებას ახდენს, სასურველია, ქუთ. გუბერნია რამდენიმე სამხრო ნაწილებად დაიყოს, საიდანაც სხვადასხვა დროს და ცალცალკე უნდა იგზავნებოდეს, როგორც დეზერტირები ისე სხვა სამხედრო ბეგარის მოხდის მოვალენი. ეს წინადადება აღმ. კომიტეტმა მიიღო და შესაფერი განკარგულება წარუდგინა ქუთაისის სამხედრო უფროსს.

## პროვინცია.

დ. ახალ-სენაკი. 4 ივნსს ძმ. სანიკიძების თეატრში სცენის მოყვარე მ. ღვამიჩავა გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება მიხ. ბოჭორიშვილის ახალი „ვენების ბრჭყალებში“

გურია (დაგვიანებული) (ბასილეთის და ჯვარცმის საზოგადოება) მშვიდი და წყნარი ამინდები სოფლის მუშას ხელს უწყობს.

— გადადებული პირველ მაისობა დიდის ამბით იდღესასწაულეს ს. ხიდისთავში ხალხი ბლომათ დაესწრო მიტინგი გაიხსნა ვ. ცენტერაძის თავჯდომარეობით, რომელმაც მეტათ მდაბიო და გასაგებ ენით აუხსნა ხალხს დღე სასწაულის მნიშვნელობა.

— 6 მაისს ღამის ორ საათზე გასძარცვეს ს. ქვენობანში კოოპერატიული დუქანი, წაიღეს 150 მ. ფულათ; გამოძიება სწარმოებს

## თბილისი.

— კავკასიის გრენადის დივიზია. მარტის 27 და 28 კავკასიის მეორე გრენადის დივიზიაში ასეთი ამბავი მოხდა: დივიზიის პოლკმა ბრძოლაში გასვლაზე უარი განაცხადეს. შემდეგ მათ მოითხოვეს კორპუსის კომანდირის გენერალ მეხმანდაროვისაგან საქმის ვითარების ახსნა, მაგრამ მისი საბუთებით არ დაკმაყოფილდენ და გენერალის გადაყენება მოითხოვეს.

ბანკივ ახალი შენობა. თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ 1914 წელს ბანკისათვის ახალი შენობის ასაგებად 305,000 მან. გადასდო. 1916 წელს საჭირო გახდა ეს თანხა გაედიდებინათ 441,000 მანეთამდე მაგრამ, ყოველგვარ მასალისა და მუშის ქირის გადიდების გამო, ეს თანხაც არ ეყო და ბანკის გამგეობას დაუხარჯავს შენობაზე ზედმეტი 56,000 მან. და გარდა ამისა კიდევ საჭიროა 100,000 მანეთი. ამ რიგად პირველად გადადებულ თანხაზე მეტი იხარჯება 292,000 მან. და მთელი შენობა ჯდება 597,000 მანეთი, რაიცა ეხლანდელ დროში ძვირად არ ჩაითვლება.

✦ ექ. ი. გოჯაძე კავკასიის სამხედრო ოლქის სასანიტრო-სამკურნალო ინსპექტორი თანამდებობიდან გადადგა. მის ადგილას დაინიშნა მოსკოველი ექ. ვეისი. გოჯაძე, როგორც გამოცდილი ექიმი მიწვეულია თბილისის ერთ დიდ ლაზარეთში კონსულტანტად.

✦ **მცხოვრებთა აღწერა.** თბილისის მცხოვრებთა აღწერა, რაიცა საჭიროა ქალაქის არჩევნებისათვის, მოხდება მაისის 28-29 და 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ომი.

გუშინ დღეებს რუსეთის მთავარ სამხედრო შტაბის ცნობა არ გამოუცია. ამ რიგად არ ვიცით, რა მოხდა უკანასკნელ დღეებში რუსეთის და კავკასიის ასპარეზზე. საყურადღებო ცნობებია დასავლეთის ასპარეზიდან. გერმანელები დიდძალ ჯარით ეკვეთნენ ფრანგ-ინგლისელების სიმაგრეებს. გერმანელები მძაფრად უტევენ აგრეთვე ბელგეთის ბრძოლის პირით. როგორც სჩანს გერმანეთის სამთავარსარდლოს გადაწყვეტილი აქვს სისწრაფით მოათავოს დასავლეთის ასპარეზით საქმე და მიზანს მიაღწიოს. ამას წინად აღვნიშნეთ, რომ გერმანეთის დასავლეთის ასპარეზზე ამოქმედება უმთავრესად რუსეთის ჯარში შექმნილმა პირობებმა გამოიწვია თუ რუსეთის სამთავარსარდლოს შეტევის გზას დაადგა და ჯარში წესრიგი აღადგინა მაშინ ცხადია ჰინდენბურგი მყისვე რუსეთის ასპარეზზე გადმოაჯგუფებს ჯარებს და დასავლეთის ასპარეზზე შეტევას თავ დაცვით შესცვლის. **ჯიხ.**

## ეროვნული კითხვა.

ირლანდიის კონვენტი.

პარლამენტის დახურვის შემდეგ მოწვეულ იქნება ირლანდიის კონვენტი. კონვენტზე 110 წევრი იქნება, მათ შორის ბრიტანეთის მთავრობის მიერ დანიშნულია 15.

უკრაინის ჯარის შესახებ

გრენადერთა პირველი დივიზიის უკრაინელ აფიცრებმა და ჯარის-კაცებმა უკრაინის ჯარის შესახებ შემდეგი დადგენილება წარუდგინეს დროებით მთავრობას დასამტკიცებლად:

1 აღიარებულია:

1) ეთხოვოს დროებით მთავრობას და უმაღლეს მართველობას უკრაინის დამოუკიდებელ ჯარის შექმნა, რიცხვით არა ნაკლებ პოლონეთის ჯარისა.

2) ჯარის შესადგენად დეუყონებლივ გამოიწვიონ მომქმედ ჯარიდან უკრაინელი ჯარის-კაცები და ოფიცრები და კიევში ჩამოიყვანონ უკრაინის ეროვნულ კონგრესის რადის განკარგულებაში.

3) გაეწეროს მომქმედ ჯარში ყველგან უკრაინელ ჯარისკაცებს ჟურნალგაზეთები დი უკრაინის რადას ნება მიეცეს მოწოდების და პროკლამაციების გავრცელებისა საერთოდ ჯარში.

2. **მის აღსასრულებლად.**

დაევალოს უკრაინის კონგრესის აღმ. რადას: 1) მიიღოს ყოველივე ზომა ჯარის საჩქარო დაარსებისათვის და მის შესავსებად. 2) საერთო—სახელმწიფო ჯარში მიიღოს თავის თავზე უკრაინელ ჯარის მზარველობა. გამოაცხადოს ხელის მოწერა უკრაინულ ეროვნულ ფონდზე.

## სტოკჰოლმის კონფერენცია.

ამ მოკლე დროში შვეციის ქალაქ სტოკჰომში მოხდება საერთაშორისო დემოკრატიის კონფერენცია. როგორც ვიცით ამ კონფერენციის მოწვევის ინიციატივა განახლებულ რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ეკუთვნის. 1848 წლის შემდგომ ასეთი კონფერენცი აპირველად ხდება.

ამ ომის დროს მსოფლიო დემოკრატია დითათ დაშორდა ერთმანეთს და ამიტომ სტოკჰოლმის კონფერენციას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ. პირველ ხანებში კონფერენციის მოწვევას ყველგან თანაგრძნობით არ შეხვდენ.

მაგ. გერმანეთში და საფრანგეთ-ინგლისში პირველად უარყოფდენ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას. მაგრამ დღეს, როგორც უკანასკნელი ცნობები გადმოგვცემენ, კონფერენციაში თითქმის ყველა განათლებულ სახელმწიფოს დემოკრატია ჰგზავნის თავის წარმომადგენლებს.

ამერიკისა, გერმანეთისა, საფრანგეთისა, ბულგარეთისა და ოსმალეთის მთავრობები მზად არიან პასპორტები მისცენ კონფერენციაზე წამსვლელებს. კონფერენციას დაესწრებიან აგრეთვე სკანდინავიის ყველა სამეფოს წარმომადგენელნი. კონფერენციაზე პირველ მოხსენებას წაიკითხავენ სკანდინაველი სოციალისტები. უმთავრეს კითხვებად არის აღსარებული ომი და ზავი და საერთაშორისო პასუხის მგებელ ორგანოს შექმნის კითხვა.

კონფერენციის შესახებ მოსალაპარაკებლად ამ დღეებში პეტროგრადში მოელიან საფრანგეთიდან ჟან-ლონგეს და

პირ რეკონდელოს. ესენი მოელაპარაკებიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

კონფერენცია განიხილავს ომისგან დაჩაგრულ ერთა ბედს. მორიგ კითხვად დაისმება აგრეთვე კონტრიბუციისა და ანექსიის კითხვა.

## პლეხანოვი და ალექსინსკი მუშათა მიტინგებზე.

14 მაისს, პეტროგრადში, ვიბორგის უბანში, სადაც ბოლშევიკების გავლენა თითქოს შეურყეველი იყო, „ერთობის“ ჯგუფმა (სოც.-დემ., პარტიის გაერთიანების ქადაგებს, მეთაურია გ. პლეხანოვი) მიტინგი გამართა.

ტრიბუნაზე გამოდის ალექსინსკი. კრების ნაწილი მას ირონიული ღიმილით ეგებება. ალექსინსკი ამბობს მწვავე ირონიით აღსავსე სიტყვას. კრება გულდასმით ყურს უგდებს. არც ყვირილია, არც ტაში. შემდეგ განცალკევებული ტაში საერთო აპლოდისმენტებად იქცევა. სდუმს მხოლოდ ერთი კუთხე, სადაც მართლმორწმუნე და შეურყეველი ბოლშევიკები სხედან.

ჩერნიშოვი ლაპარაკობს ინტერნაციონალისტებზე უბრჭალებოდ და ინტერნაციონალისტებზე ბჭალებში. სიტყვას „დაპლომბვილი ვაგონი“ ბოლშევიკები ხმაურობით და ყვირილით ეგებებიან:

— ძირს! ძირს!

— ჩემი ხმა საყვირია იერიქონისათ —გრგვინავს ჩერნიშოვი და, მიუთითებს რა ბოლშევიკებზე, იძახის:

ვერ დამაყრუებთ!

ბოლშევიკების პირველი სიმაგრე შენგრეულია.

ყველა ორატორი ავტომობილით ნევის გემთსაამშენებლო ქარხნებისაკენ მიემართება, ბოლშევიკების ამ უძლიერეს სიმაგრეზე იერიშის მისატანად.

ტრიბუნაზე პლეხანოვია. სრული სიწყნარე ჩამოვარდა. შემდეგ ერთის ტაშს საერთო მგრგვინავი ტაშისცემა მოჰყვა. პლეხანოვი მისალმებისათვის მადლობას ამბობს:

ომის შესახებ მრავალი წერილობითი კითხვა იგზავნება ტრიბუნისაკენ. პირველი კითხვა შემდეგია: „ამხანაგო, ვალდებული ვართ ჩვენ სამშობლო დავიცვათ, თუ არა? რა არის სამშობლო და ვინ უნდა დაიცვას იგი?

—ნიკოლოზ—2 დროსო—უპასუხებს პლეხანოვი სამშობლოზე ლაპარაკი აკრძალული გვქონდა. იყო მხოლოდ მთავრობა, სამშობლო კი არ არსებობდა. მთავრობას ეშინოდა, რომ სამშობლო მთავრობას შეეჯახებოდა. მე მიყვარს ჩემი სამშობლო, მიყვარს ის მასსა, რომელიც იქ ცხოვრობს, მიყვარს ის მუშა კლასი, კლასი, რომელსაც ჩემი საზოგადო მოღვაწეობის 40 წელიწადი შევსწირე. მთელი მასსა უნდა იცავდეს თავისს სამშობლოს და არა მარტო ბურჟუაზია. თუ რუსეთი დაჰარცხდა, ვინ დაიჩაგრება, თუ არა იგივე მასსა?

გერმანელებმა რომ პეტროგრადი აიღონ, რაც სრულებითაც შეუძლებელი არ არის თუ ჩვენი ჯარის დეზორგანიზაციას ბოლო არ მოეღება სატახტო ქალაქში მუშა, მშრომელი მასსა დარჩება, შეძლებული კლასი კი ქალაქს მიატოვებს და თავისი ფულით ყველგან მოეწყობა. გერმანელები კონტრიბუციას დაგვადებენ, რომელსაც იგივე მასსა გადიხდის

დაძმობილების შესახებ პლეხანოვი ამბობს: დაძმობილება იგივ სეპარატიული ზავია. ეს დაძმობილება კი კაინის აბელთან დაძმობილებაა. რუსის კარჩხანა გერმანეთის ქარიყლაპიას უძმობილდება (Русскій карась братается съ немецкой щукой). კარჩხანა უკვე სთვლემს და ქარიყლაპიაც არ დააყოვნებს ამ გარემოების გამოყენებას.

ამგვარი პასუხებით სხვადასხვა კითხვებზე პლეხანოვმა შესძლო მშვენიერი, ღრმა ანალიზით და ბრწყინვალე გონება-მახვილობით გამსჭვალული სიტყვის აგება, რომელიც მრავალ ათასოვანმა კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა. ორატორს დიდი ოვაციები გაუმართეს.

ტრიბუნაზე ადის ანარხისტი სახნოვსკი. —არც კარლო მარქსის და არც რომელიმე პარტიის ავტორიტეტი მე არა მწამს—ამბობს იგი. (ხმები: ძირს, ძირს!). ომში მხოლოდ მთელი ქვეყნის ბურჟუაზიას მიუძღვის ბრალი. დაძმობილება ერთად ერთი საშუალებაა, რომ ომი თვით ხალხმა დაამთავროს (ხმები: კმარა, ძირს?). მე უკვე ვსჭვრეტ სოციალურ რევოლუციის დასაწყისს, მემამულეებს მიწას ჩამოართმევენ; მაშ რისთვის უტოვებთ, ამხანაგებო, ბურჟუებს ქარხნებსა და ფაბრიკებს (სტვენა, ხმები: ძირს, გარეთ!) ორატორი სცდილობს სიტყვის განგრძობას, მაგრამ უიმედოდ აქნევს ხელს და ტრიბუნიდან ჩამოდის.

სახნოვსკის საპასუხოდ პლეხანოვი ამბობს:

— მოქალაქე სახნოვსკის გამოსვლის ენერგია მოსაწონია. კარლ მარქსი ჩვენთვის საყურადღებოა არა მით, რომ ის კარლია და მარქსის გვარს ატარებს, არამედ მით, რომ მან მუშა კლასს იდეალი დაუსახა „კაპიტალი“ დასწერა და კომუნისტიერი მანიფესტი გამოსცა, რომელიც მთელი მუშა კლასისათვის კატეხიზმოს წარმოადგენს. მარქს მშვენიერი სიტყვები ეკუთვნის: „უმეცრება მუშა კლასის გათავისუფლების წყაროდ არაოდეს გარდაქცეულაო მისაყვედურებენ, ანარხისტი რად არა ხარო. ჩვენ ხომ არ ვეუბნებით სახნოვსკის საყვედურს მისთვის, რომ ის სოციალ-დემოკრატი არ არის?! სიტყვა ანარხიზმი, სწორედ თარგმნილი, ნიშნავს: „ჰქმენ, რაც გნებავს“, ევროპაში ორი ადამიანია, რომელიც სჩადის, რაც მოესურვება: გერმანეთის იმპერატორი და ოსმალეთის სულთანი.

— მეო-განაცხადა პლეხანოვმა-ყოველთვის ვებრძოდი ყოველგვარ მეფობას, გარდა ერთისა, გარდა გონებისა მეფობისა ვის თავშიაც გონება არ მეფობს, მისი საქმე ცუდია. ამ მეფობის სახელით მოგიწოდებთ, ნუ გაჰყვებით ანარხიზმს. არევ-დარევისა და ქაოსისაგან მონარქია წარმოიშვება. ხალხსუნ და არა უუფლებობა, არამედ მთელი უფლება. (ხანგრძლივი ტაში.)

გამოდის ლესნერის ქარხნის მუშა—გოლუბოვსკი, ახალმოვლენილ პარტიის, „ყარაულის“, წარმომადგენელი. მთელი აუდიტორია იცინის.

—რა არის თქვენი პარტიის ლოზუნგი?. —ეკითხებიან მას ადგილებიდან.

—ჩვენი ლოზუნგია: „ყარაულ!“, ხოლო მიზანი ჩვენი პარტიისა-თაავზარი დასცეს ბურჟუაზიას. (ჰომერული სიცილი.)

დასასრულ მთელმა კრებამ, რომელიც 10 ათასს კაცს შეიცავდა, 2-ს წინააღმდეგ შემდეგ რეზოლუცია მიიღო: „ჩვენ, ნევის გემთსაამშენებლო ქარხნის და მიდამოების მუშები, გამოვსთქვამთ სურვილს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწვიოს თავის საქმეებში მონაწილეობის მისაღებად სამი მხცოვანი მებრძოლი მუშათა კლასის საქმისათვის, რუსეთის სოციალ დემოკრატიის დამფუძნებელი: პლეხანოვი დეიჩი და ზასულიჩი.

„რუს. ვოლია“.

## მე-8 ყრილობა სახალხო თავისუფლების პარტიისა.

(გაგრძელება, იხ. „ჩვ. ქვ.“ № 35)

მილიუკოვი ეხება დროებითს მთავრობასთან დამოკიდებულებას. საგარეო პოლიტიკაში მტკიცედ უნდა იქნეს დაცული მოკავშირეებთან დაცულ ხელშეკრულობანი. ჯარში დისციპლინის განმტკიცება და იმ სულიერ განწყობილების აღდგენა ურომლისოდ რუსეთის მოკავშირეებთან დამოკიდებულება ყოველ მნიშვნელობას იქნებოდა მოკლებული.

პარტია ყოველ ღონისძიებას მიმართავს, რათა დაამყაროს და განამტკიცოს მთავრობის გავლენა და ავტორიტეტი პარტია აღიარებს, რომ მთავრობამ მავნე და ანარქიულ ელემენტების წინააღმდეგ წესიერების დასამყარებლად ფიზიკური ძალა უნდა იხმაროს. მთარობამ უნდა შესცვალოს ჯარში ის სულისკვეთება, რომელიც იქ დამყარდა ზავის ლოზუნგების ცუდად გაგების გამო. ჯარის კაცებმა უნდა შეიგნონ,. რომ მტერთან ბრძოლა მოითხოვს არა თხრილებში ჯდომას და მარტო თავ დაცვას, არამედ შეტევის წარმოებასაც. პარტიის შეხედულებით დროებითი მთავრობა კანონმდებლობაში არ უნდა გადასცდეს თავის დანიშნულების საზღვრებს და არ უნდა შეიჭრას დამფუძნებელ კრების ფუნქციების სფეროში. მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის სახელმწიფოში მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებათა გატარების უფლება. ავტონომიის ან ფედერატიულ წყობილების დამყარებაო, ამბობს მილიუკოვი, დროებითი მთავრობა უფლებით ვერ განხორციელდება. პარტიის ძირითად მისწრაფებას რევოლუციით მოპოებულ თავისუფლებათა განმტკიცება წარმოადგენს, რისთვისაც ძლიერი მთავრობის არსებობა ყოვლად მიუცილებელია. ყველა ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია ვალდებულია ენერგიულად მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას.

(შემდეგი იქნება.)

## არქიელის გორის სამკითხველო

არქიელის გორაზე არავითარი კულტურული დაწესებულება არ მოიძებნება, გარდა ერთი უფასო სამკითხველოსი- რაც ეს სამკითხველო არსებობს: 8 წელიწადზე მეტია, მაგრამ მკითხველ საზოგადოებას არ ახსოვს, რომ ერთი თვე მაინც რიგიანათ ყოფილიყოს მისი საქმე, წაყვანილი არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ უკლებლივ მისვლოდეს სამკითხველოს გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები. შემოვა მკითხველი და ერთ ალიაქოთს აუტეხს სამკითხველოს გამგეს, რომელიც მდგომარეობის მიხედვით სინიდისიერათ ასრულებს თავის მოვალეობას, რატომ ესა და ეს გაზეთი არ არისო.

რა შუაშია აქ გამგე, თუკი გამგეობის ერთს წევრთაგანს სახლში დაუდის გაზეთები რომელთაც იგი სამკითხველოში წესიერად აღარ ჰგზავნის.

ამა წლის იანვრის დამდეგს მოიწვიეს სამკითხველოს სვე-ბედით დაინტერესებულმა პირებმა კრება, რომელზედაც უნდა გამოერკვიათ და გაეუმჯობესებიათ მისი მდგომარეობა. გვეგონა, ამ კრების შემდეგ მაინც შესაფერ დონეზე იქნებოდა დაყენებული მისი საქმე, მაგრამ დღესაც ისეთ მდგომარეობაშია ეს სამკითხველო, როგორშიაც იყო ამ რვა წლის განმავლობაში. რამოდენიმე პირმა კეთილ-ინება დ გამოუწერა თავისი ხარჯით ჟურნალ-გაზეთები სამკითხველოს, მაგრამ გამგეობის იგივ „ერთი წევრთაგანი“ იმასაც კი იმადლება, რომ უკლებლივ მოგვაწოდოს ჟურნალ-გაზეთები და ამით თავიდან ავიცილოთ ის უწესოება სამკითხველოში, რომელიც გამოწვეულია გაზეთის ნომრების დაკლებით. აღსანიშნავია ისიც რომ, არქიელის გორის სამკითხველო იღება საღამოობით და რადგანაც ეს ბევრს უხერხულათ ეჩვენება, ამისათვის სასურველია რომ იღებოდეს დილაობით. (ზაფხულში რასაკვირველია).

დასასრულ, ვსთხოვ სამკითხველოს გამგეობის წევრებს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ ერთად ერთ კულტურულ დაწესებულებას არქიელის გორაზე, რომ ესეც ხელიდან არ გამოგვეცალოს.

პარბანიძე.

P. s. ამისთანა შენიშვნები რამოდენიმეჯერ აღინიშა ქუთაისის გაზეთებში, მაგრამ ამ ამოძახილმა ხმის გამოუცემლათ ჩაიარა.

პ.

## რუსეთი.

**მოწოდება ლოთობის წინააღმდეგ**

ამ ბოლო ხანებში რუსეთის ქალაქებში ლოთობამ მეტად ფართე და საშიში ხასიათი მიიღო. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ და შემდეგი მოწოდება გამოსცა. „მოქალაქენო, მუშებო და ყველა მცხოვრებნო! ძველ რეჟიმის დროს ლოთობას თვითმპყრობელობის სისხლ გლეს ვაწერდით. მაშინ ძველი მთავრობა განგებ გვათრობდა, რადგან ჩვენი სიფხიზლე მისთვის სასურველი არ იყო. დღეს კი ლოთობას ბნელი ძალები უწყობენ ხელს. ისინი სცდილობენ ხალხში შუღლი ჩამოაგდონ, ქალაქი ქალაქს მიუსიონ, სოფელი სოფელს, ძმა ძმას და მეგობარი მეგობარს. ასეთ ხელსაყრელ დროთი კი დიდად ისარგებლებენ იგინი და ისევ თავზე დაგვაჯდებიან. ვისაც თავისუფლება უყვარს, ვისაც ხალხის ინტერესები სწამს, მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიატოვოს არაყისა და მაგარი სასმელების ჯარის კაცზე გაყიდვა.

ვისაც სამშობლოს კეთილდღეობა ახსოვს, მან ეხლავ უნდა დაჰგმოს ლოთობა და რევოლუციურ დროში ხალხის ინტერესს ფხიზელ დარაჯად ჩაუდგეს. ამას მოგიწოდებთ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა სარწმუნოებისა მიმართულებისა და მდგომარეობისა“

**სასამართლოს რეფორმა**

დროებითმა მთავრობამ განკარგულება გამოსცა რომლის ძალითაც არსებითად უნდა შეიცვალოს ადგილობრივი სამოსამართლო დაწესებულებანი. მოსამართლეთ დღეიდან თვითონ ხალხი აირჩევს. უქმდება ძველი მომრიგებელ შუამავლის ინსტიტუტი დაარსდება ხალხისაგან არჩეული შემარიგებელი მოსამართლის განყოფილება. თვით კოლეგია სასამართლოსი მეტად გაფართოვებულია და იქ არა ოფიციალი პირებიც შევლენ (ხალხისაგან არჩეულები).

**სამხედრო პროვოკატორთა მიმართ.**

რუსეთის პოლიტიკურ პარტიებო აზრით აქვთ აქტიურ პროვოკატორთა (ისეთთა, რომელნიც ამ უკანასკნელ დროსაც ეწეოდენ დაბეზღებას და მიღებული აქვთ საშუალო ან უმაღლესი სწვლა) გასასამართლებლად დაარსოს „საპარტიათა შორისო სინიდისის სასამართლო (между партiйный совѣстный судъ).

**ბერების გაწვევა**

14 მაისს თავრიდის სასახლეში შესდგა ფრონტის დელეგატთა ყრილობა. ყრილობამ კითხვა აღძრა ომში გაწვეულ იქმნან ის სასულიერო პირნი, რომელნიც სხვადასხვა მონასტრებში ბერებად ირიცხებიან პირველად ბერებს შეასრულებინებენ სანიტარის მოვალეობას.

**რა ხდება რკინის გზებზე?**

გაზ. „როსისკ. რესპუბლ.“ სწერს: ჩვენს რკინის გზებზე ისეთი ორომტრიალია რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობს, ძველი რეჟიმის დროს გართულებული ტრანსპორტის საქმე დღეს უკიდურესად გაძნელდა. ფრონტის მახლობელ ადგილებში მგზავრობა შეუძლებელი გახდა. ჯარის კაცების თვითნებობას საზღვარი არა აქვს. ესენი ქმნიანი ათას გვარ უწესოებას, ძარცვავენ მხავრებს და შეურაცყოფას აყენებენ ქალებს. ამიტომ გზათა მიმოსვლის მინისტრმა კოალიციურ მთავრობის კოლეგიასთან შეთანხმებით დაადგინა რკინის გზებზე დაარსდეს სასამართლოები, რომელიც ადგილობრივ დაუყოვნებლივ გამოიძიებს ყოველი მომხდარ უწესოებას და დამნაშავეთ დასჯის.

**10,000 აგიტატორ-პროვოკატორი**

სამხედრო და საზღვაო მინისტრი ალ. კერენსკი მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში კითხვას აყენებს, რათა ბრძოლის ველზე იქმნას გაგზავნილი ის ათიათასი აგიტატორი, რომელიც ამ ჟამად პეტრეს ქალაქშია დაკავებული პროვოკატორობისათვის.

**ჯაშუშები ფინეთიდან.**

რუსული გაზეთები იუწყებიან, რომ ფინეთის გზით რუსეთში ამჟამად დიდ ძალი ჯაშუშები მოვიდა. ჯაშუშები უმეტეს წილად ბერლინიდან არიან რომელნიც ახლავ ჩაეწერნენ შავრაზმელებთან სათანამშრომლოდ.

**რუს. გლეხთა ყრილობის რეზოლუციები.**

მე 14 დღეს პეტრეს ქალაქში შემდგარმა გლეხთა ყრილობამ რეზოლუციები გამოიტანა.

1) პურის მონოპოლია და სანოვაგეზე მაგარი ფასების დაწესება. (შენიშვნა) იმპირთ, რომელსაც 50 დესეტინაზე მეტი სახნავ სათესი აქვთ და აგრეთვე სურსათ სანოვაგე საყოფზე მეტი მოეპოვებათ, რეკვიზიცია უნდა მოუხდინონ ძველი ფასების მიხედვით.

2) განვითარება სასოფლო მეურნეობის წარმოებისა, რომლისთვისაც საჭიროა სამუშაო მანქანების სახელმწიფოსგან შეძენა იაფ ფასიან კრედიტის დაარსება და ინვენტარის შექმნა.

3) განვითარება და სახელმწიფურ თვალსაზრისით მოწესრიგება იმ წარმოებათა, რომელიც ფართე მასის სახმარებელ საგანს შეადგენენ შაქარი, ნავთი, მატყლი ტყავი და რკინა.

4) ჩამოთვლილ საგნებზე სახელმწიფო უშვება მონოპოლიას და მაგარ ფასებს ნიშნავს.

5) პირველ საჭიროების საგნების შე- [illegible]

6) [illegible] საყოველთაოდ შემოღება.

7) [illegible]

8) ფუფუნების დამამზადებელ წარმოებათა დახურვა საფუფუნო საქონლის შემოზიდვის აკრძალვა და კაპიტალისტების შემოსავლის აკრძალვა.

9) იმ ადგილებში სადაც არ არსებობს დროებითი მთავრობის ორგანიზაციები დაუყოვნებლივ დაარსდეს ასეთები ფართე დემოკრატიულ საფუძვლებით.

10) გაუდიდდეს ჯარისკაცთა ოჯახებს დახმარების ფული.

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**


## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში უესხმს „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**
**მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| შაურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


## მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

ზედამხედველი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბ. ბ. ბანკის რწმუნეულთა კრება დანიშნულია ქ. ქუთაისში ბანკის შენობაში 28 მაისს 1917 წელს, დილის 10 საათზე.

ბანკის წესდების 89-ის შენიშვნის თანახმად კრება კანონიერად ითვლება, მიუხედავად დამსწრე რწმუნებულთა რიცხვის რაოდენობისა.

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. ბანკის ოპერაციათა 1916 წლის ანგარიში და მოხსენებანი ზედამხედველი კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელი კომისიისა.
2. ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებულ საკრებულოს მოხსენება.
3. ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
4. გამგეობის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ.
5. გამგეობის მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა და შევსების შესახებ.
6. შეერთებულ საკრებულოს სხდომა ბანკის სამოქმედო რაიონის გადიდების შესახებ.
7. ბანკის 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა.
8. თანამდებობის პირთა არჩევნები იმათ მაგივრად, ვინც სამსახურის ვადის შესრულების გამო გავიდა: ზედამხედველ კომიტეტის 4 წევრისა, გამგეობის 2 წევრისა და ერთი კანდიდატისა.


სტამბა „შრომა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში